**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზე, თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (გვარამის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

**„დროების“ ფასი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელის წლისა . . . | 9 მან. | სამის თვისა . . . | 3 მან. |
| ექვსის თვისა . . . | 5 მან. | ერთის თვისა . . . | 1 მან. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით, ასოზე 1 კაპ.; [illegible] ასოზე ნახევარი კაპ., [illegible] ზე მეტი.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უკანვე არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამა 1882 წელს ყოველ-დღიური გაზეთი

## „დროება“

გამოდის იმავე პროგრამმითა და რიგით და იმავ თანამშრომლების დახმარებით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

**ხელის-მოწერა მიიღება:**

თფილისში: „დროების“ რედაქციის კანტორაში, გალავნის პროსპექტზე, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა მოითხოვონ გაზეთი Въ Тифлисъ, Въ редакцію газ. „Дроэба“.

„დროებაზე“ და „ივერიაზე“, ორივეზე ერთად, ხელის-მოწერა არ მიიღება.

**ფასი ხელის-მოწერისა:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ერთის წლით: . . . . . . | 9 მან. | სამის თვით . . . . . . . | 3 „ |
| ნახევარის წლით . . . . . | 5 „ | ერთის თვით . . . . . . . | 1 „ |

სხვა ვადით ხელის-მოწერა არ შეიძლება. ხვედრი ფული ხელის-მომწერმა გაზეთის გამოწერისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში. ვთხოვთ აგრეთვე, რომ თავის სახელი და გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით დასწერონ.

რედაქტორი სერ. მესხი.
გამომცემელი სტ. მელიქიშვილი.

პარასკევს, 19 მარტს

თბილისის კლუბში

გაიმართება

**ბავშვებისსაღამო**

ნაირნაირი სურათებით, კითხვით, მუზიკით და ცეკვით.

ბილეთები ბავშვებისა 50 კაპ., ქალებისა 1 მან., კაცებისა 2 მ. ისყიდება შავერდოვის პავილიონში და კლუბის შვეიცართან.

## ტელეგრამმა

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურგი; 12 მარტს. „მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია, ილიის მხარე ჩინელებს დაეთმო 10 მარტს; მცხოვრებლებს ხუთის წლის განმავალობაში უფლება აქვთ, თუ უნდათ რუსეთში გადმოსახლდნენ.

„ნოვოე ვრემიაში“ სწერენ, რომ რკინის გზებმა შარშანდელის წლის განმავალობაში 22 მილიონი სესხი არ გადაუხადეს ხაზინასა და ხაზინამ კი თავის მხრით გარანტია გარდაუხადა ამ გზებისა.

**პეტერბურგის ბირჟა, 12 მარტს.**

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი გამოცემისა — | 96—25 |
| მეორესი — — — — | 91—12 |
| მესამესი — — — — | 91—50½ |
| მეოთხესი — — — | 91—25 |
| მეხუთესი — — — | 90—25 |
| აღმოსავლეთის პირვ. — | 90—37 |
| აღმოსავლეთის მეორე | 90—37 |
| აღმოსავლეთის მესამე | 90— „ |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 8—17 |

| შინაგანის 5% სესხი ბილეთები: | |
|---|---|
| პირველი სესხის — — | 216—50½ |
| მეორე სესხის — — | 211— 5 |

100 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — | 24— 3 | პენსი |
| ჰამბურგი — | 205— „ | ცენტი |
| პარიჟი — — | 253—75 | სანტიმი |
| ბერლინი — | „ — „ | პფენიგი |

## სწავლების კურსი სასოფლო სკოლებში.

ტფილისი, 13 მარტს.

ღვთის ნებით, თუ უნებლიეთ, ჩვენ, ქართველები, სრულიად მოშორებულნი ვართ კლერიკალებსაც და ფეოდალებსაც, . . . . . . . .

მაგრამ მარტო ეს გარემოება ჩვენ შეცდომისაგან ვერ დაგვიფარავს შესახებ სახალხო სკოლის კურსისა.

შეიძლება ჩვენში ადამიანი იყოს ნამდვილი კეთილის-მყოფი გლეხობისა, ჭეშმარიტი დემოკრატი; მაგრამ, რაიმე პატივ-საცემი, მაგრამ შემცდარი, მოსაზრებით დაადგეს იმავე გზასა, რომელსაც ადგიან კლერიკალები და ფეოდალები. ამ შემთხვევაში ძავნებელს შეცდომას მხოლოდ მაშინ ავიცდენთ თავიდგან, როდესაც გზის მანათობელ ფანრათ და კელეპტრათ ჩვენ გავიხდით იმ პირთა მსჯელობას და შეხედულობას, რომელნიც მუდამ ხალხში მოქმედობენ, არიან მისი მასწავლებელნი, იციან მისი ავი და კარგი, სურვილნი და მოთხოვნილებანი და ზედმიწევნით აქვთ შესწავლული სახალხო სკოლის ყოველნი გარემოებანი.

ამ გვარნი პირნი გახლავან სასოფლო სკოლის მასწავლებელნი, რომელთა მსჯელობას და შეხედულობას სკოლის ორგანიზაციის შესახებ ყველგან დიდს მნიშვნელობას ძლევენ. თვითონ დიდ პედაგოგს გერმანიისას დისტერვეგს სახალხო სკოლების მასწავლებელთა კრების შეხედულობანი და გარდაწყვეტილებანი მიაჩნდა შეურყეველ რათმე, რომლის წინაამდეგ აპელაცია შეუძლებელია, რადგანაც მასწავლებელთ კრება წარმოადგენს უმაღლეს ინსტანციას სკოლის საქმეებშიაო. თუ გერმანიაში, სადაც პედაგოგიის ცოდნა თითქმის მთელს საზოგადოებაში მოფენილია, სირცხვილათ არ მიაჩნიათ მასწავლებელთა კრების გარდაწყვეტილობათა დამორჩილნენ, ჩვენში უფრო ადვილი და კანონიერი არ უნდა იყოს ეს დამორჩილება. . . .
. . . . . . . . .

რამდენად შედარებით შეუცდომელია და პრაქტიკული ყოველი გარდაწყვეტილება მასწავლებელთა კრებისა სახალხო სკოლის მომართვის თაობაზედ, ეს, სხვათა შორის, აშკარად სჩანს იმ მოსაზრებიდგან თბილისის და ქუთაისის კრებისა, რომელიც წინა წერილში მოვიხსენიეთ. არც ქუთაისის გუბერნიის მასწავლებლებმა და არც თბილისისამ, რასაკვირველია, სრულიად არ იციდნენ, თუ რა გვარი ორგანიზაცია ჰქონდათ შემოღებული ევროპაში მაშინ, როდესაც ევროპის ერნი იყვნენ იმავე მდგომარეობაში, როგორშიაც არის ეხლა ქართველთა ერი. მაგრამ სწორედ ისეთივე მოსაზრება ამოაჩინეს და ისეთივე ხერხი იხმარეს, როგორც ევროპაში ხმარობდნენ და ეხლაც ზოგან ხმარობენ. ევროპის გლეხობას სურდა, რომ მის შვილებს კარგად, ვრცლად და განვითარებით შე-

(დროების) ფელეტონი, 14 მარტი.

## მოგზაურობა ქართლში

(გაგრძელება*)

მცხეთის სტანცია გაშენებულია მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ორ მთას შუა. მარჯვენა მთა არის ცოტა თრიალეთის მთა-გრეხილისა, რომელსაც აქვს კავშირი მცირე აზიის მთებთან ყარსის მთების შემწეობით. ეს თრიალეთის მთა-გრეხილი მტკვრის სათაურიდგან მოკიდებული ამ მდინარეს მარჯვენა მხრით მოსდევს თფილისამდე და აქიდგან 15—20 ვერსის მანძილზე ჰქრება, სწორდება მინდვრებთან.

ამ მთა გრეხილს სხვა-და-სხვა ადგილს სხვა-და-სხვა სახელი ჰქვიან: ჯავახეთში იწოდება ჯავხეთის მთად, სომხითში ალგეთის და სხვ. მაგრამ საზოგადოდ კი იწოდება „თრიალეთად“, რომელიც ყოვლის მხრისკენ უშვებს მცირე ტოტებს და ამ გვარად ჰყოფს მთელს საქართველოს ერთ ნახევარს (მტკვრის მარჯვენა მხარეს) რამდენიმე პატარ-პატარა ხეობებად, ნაწილებად, რომელთაც ხშირად განსაკუთრებული ბუნებითი თვისებანი აქვთ: ზოგი მდიდარია მცენარით, ცხოველებით, ზოგი არა; ზოგი ამ ტოტებთაგანი დაბურულნია ტყით, ზოგი კი არა. სიმაღლითაც ერთნაირნი არ არიან. ერთი ამ გვარი ტოტთაგანი არის გორის-ჯვრის (ახალი-ჯვრის) მთა, რომელიც მოდის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისკენ და ქალაქ გორის პირ-და-პირ სწყდება. ეს ტოტი ჰყოფს ქვემო ქართლის მტკვრის მარჯვენა მხრით მდებარე ადგილს ორ დიდ ნაწილად, რომელთაგან ერთს (დასავლეთისას) წინეთ ერქვა საციციანო, მეორეს (აღმოსავლეთისას) საზარათიანო.

მცხეთის მარჯვენა მხარეს 1535 ფუტით ზღვის წყალზე მაღლა ამართული მთა არის აგრეთვე ტოტი თრიალეთისა; ამ ტოტს ჰქვია საწკეპელო (სათოველო მთა) რომელსაც სტანციის ახლო-მახლო ჰქვიან არმაზის გორა (აგრეთვე ბართლოსის გორა).

ამ გორას დარჩა სახელი „არმაზი“ თვით ამ გვარ წოდების ქალაქის არმაზისაგან, რომელიც მე-VII საუკუნის ნახევარში სპარსეთის შაჰის აბულქასიმ მურვანისაგან აღიგავა დედამიწის პირიდგან; დიდებულის ქალაქიდგან დარჩა მხოლოდ ნანგრევები*), რომელნიც მოგვითხრობენ განათლების ხარისხს, ცოდნას და სამოქალაქო ცხოვრებას პირველ ქართველთა.

*) იხ. „დროება“ № 39.

*) არმაზის აღმოსავლეთის მხრით, მის ახლოს, არის აგრეთვე ნანგრევები ძველის ქალაქის ნაქალაქევისა, რომელიც, პლატონ იოსელიანის აზრით, შეადგენდა თურმე არმაზის ერთ ნაწილს. მისივე აზრით, აქ იყო გამართული მრავალი დუქნები და ქალაქიც ნიშნავს დუქნებს, დუქნების რიგს, წყობას, ბაზარს, აქ 1867 წ. იპოვეს ქვა ბერძნულის წარწერით რომლის შინაარსი დაახლოვებით, შემდეგია:

„თვით მპყრობელი კესარიოს ვესპასიონი სევასტოსი, დიდი მღვდელ-მთავარი 7-ჯერ ტრიბუნად გამხდარი, თვითმპყრობელი 14-ჯერ, კონსული 6-ჯერ

ესწავლა სასოფლო სკოლის კურსი; ეს შეიძლებდა მხოლოდ მაშინ, თუ ბავშვები სასწავლებელში დარჩებოდნენ არა-ნაკლებ ოთხის წლისა. მაგრამ ერთს მასწავლებელს ბევრი განყოფილების ერთათ სწავლება ძლიერ გაუძნელდებოდა და ეს გარემოება მის შრომას ფუჭად ჩაატარებდა; ამიტომ შემოიღეს სკოლაში ბავშვების მიღება არა ყოველ წლივ, არამედ ორ წელიწადში ერთხელ.

ამ ხერხის მეოხებით იმ სკოლაში, სადაც ოთხი წლის კურსი იყო შემოღებული, მასწავლებელს ორი განყოფილება ჰქონდა და იქ, სადაც ექვსი წლისა, სამი განყოფილება. განყოფილებათა სიმცირე მასწავლებელს აძლევდა ღონის-ძიებას წარმატებით ეწარმოებინა სწავლა და სკოლიდგან გამოეშვა ბავშები გახსნილნი, განვითარებულნი და მშვენიერი კითხვის მცოდნენი.

რასაკვირველია, ორ წელიწადში ერთხელ ბავშვების მიღება დაბრკოლებას შეადგენდა გლეხებისათვის, მაგრამ ამ პატარა დაბრკოლებით ისპობოდა ვეებერთელა ბოროტობა— უნაყოფობა სკოლისა მრავალის განყოფილების გამო.

ამ გვარი წესი არსებობდა ყოველ სკოლაში იქამდის, ვიდრე ამ სკოლაშივე არ შეასრულებდა სწავლას რომელიმე ნიჭიერი და განვითარებული ყმაწვილი, რომელიც მცირეოდეს ჯამაგირს იკმარებდა და გახდებოდა თანაშემწე თავისი ყოფილი მასწავლებელისა. მაშინ კი, რადგან სკოლას ორი მასწავლებელი უჩნდებოდა, ბავშვების მიღება ყოველ წელს მოხდებოდა ხოლმე. ჰოლლანდია ხომ მდიდარი ქვეყანაა ევროპაში და ცოდნის დიდი მოყვარე, მაგრამ აქამდის ზოგს მის სოფელში არსებობს წესი, რომლის ძალითაც ბავშვები სკოლაში მიიღებიან ორ წელიწადში ერთხელ.

ეს ღონის-ძიება მეტად აადვილებს სწავლის წარმატებით მსვლელობას; მაგრამ ერთს პრაქტიკულს დაბრკოლებას ბადავს, რომელიც უთუოთ უნდა დაძლეულ იქმნას რაიმე მოხერხებით. საქმე ის გახლავთ, რომ ბავშვი, რომელიც უკან ჩამორჩება და ვერ გადაჰყვება თავის ამხანაგებს შემდევ განყოფილებაში, იმავე განყოფილებაში უნდა დარჩეს არა ერთი წელიწადი, არამედ ორი და ეს ბავშვისათვის და მის დედ-მამისათვის მეტად ძნელია და მაზარალებელი. ამ დაბრკოლების მოსასპობლად იმ სკოლების მოსწავლებელნი, სადაც ორ წელიწადში ერთხელ იღებენ ბავშვებსა, ყოველ ღონის-ძიებას ხმარობდნენ, რომ მთელი განყოფილება თანაბრად სწავლობდეს, და თუ რამდენიმე ბავშვი, ავად-მყოფობის თუ სხვა მიზეზის გამო, უკან დარჩება, მაშინ მასწავლებელი, ყველა გაკვეთილების გათავების შემდეგ, ყოველ დღეს რჩება ერთი საათით სკოლაში და ამ უკან ჩამორჩომილს ბავშვებს ასწავლის ცალკე იქამდის, ვიდრე არ მოსწევს დაწინაურებულს ამხანაგებსა. ეს ცალკე სწავლება უკან დარჩენილი ბავშვებისა მასწავლებლისათვის სამძიმო ტვირთს არ შეადგენს, რადგანაც სახალხო სკოლაში ოთხი გაკვეთილის მეტი დღეში არ არის და მეხუთე გაკვეთილისათვის მასწავლებელს ყოველთვის რჩება ღონე.

იქ, სადაც ჰსურთ ყოველ წლივ იღონ ბავშვები სკოლაში, ბევრს მოწაფეებს ასწავლონ, მაგრამ ღონის-ძიება კი არა აქვთ ერთი მასწავლებლის მეტი იყოლიონ, სხვა ღონის-ძიებას ხმარობენ: მასწავლებელს ვალათა სდებენ, რომ ერთს ნახევარ მოწაფეებს დილით ასწავლოს და მეორე ნახევარს-კი სადილთ უკანა.

ამ ღონის-ძიებას ბევრი ღირსება აქვს, მაგრამ ორი დიდი ნაკლულევანება სჭირს: პირველი ნაკლულევანება იმაში მდგომარეობს, რომ სწავლის ხანი მცირდება: მასწავლებელს შეუძლიან მხოლოდ სამი გაკვეთილი დილით იქონიოს, სამი სადილთ უკან, და ამ სახით ოთხი გაკვეთილის მაგიერ დღეში სამი გაკვეთილი მოსდის თვითო ბავშსა. მეორე ნაკლულევანება ის არის, რომ ექვსი გაკვეთილის გაძლოლა ყოველ დღე მასწავლებლისათვის ძნელია.

მაგრამ, თუ მასწავლებელი მარჯვე ადამიანია, შრომისა არ ეშინიან და გული ერჩის ხალხის კეთილ-დღეობისათვის და ბედნიერებისათვის, ეს უკანასკნელი ღონის-ძიება შეიძლება ამჯობინოს.

## დღიური

ზოგიერთი ამბები მთავარ-მმართებლის თ. დონდუკოვ-კორსაკოვის მოგზაურობაზედ:

უაზნევის სტანციაზე იმის მისაგებებლად წავიდნენ ქალაქიდამ ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ. დ. ა. სუმბათოვი და გ. ტფ. გუბერნატორი თ. შაგარინი. დუშეთში დაუხვდნენ ამ მაზრის თავად-აზნაურნი თავის მარშლით.

მცხეთაში მიეგება ტფ. მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღომელი ლ. ა. მაღალაშვილი მაზრის თავად-აზნაურებით. დიდ-ძალი ხალხი იყო მოგროვილი მცხეთის სობოროს გალავანის გარეთ. თავად-აზნაურნი-კი შიგ გალავანში იყვნენ. აქ ტფ. მაზრის მარშალმა ლ. ა. მაღალაშვილმა მიმართა თ. დონდუკოვ-კორსაკოვს შემდეგის სიტყვით:

„თქვენო ბრწყინვალებავ!

„ბედნიერად მიმაჩნია ჩემი თავი, რომ მე მეღირსა თქვენი მოსალმება, ტფილისს მაზრის თავად-აზნაურთა მხრით, აქ, ამ საქართველოს ძველი ტაძრის კედელთან.

„ჩვენს თავად-აზნაურობას ახსოვს თქვენი სიყვარული ჩვენის ქვეყნისა და ამიტომ თქვენი დანიშნვა კავკასიის გამგებლის დიდებულ ხარისზედ, იმან მიიღო განსაკუთრებულ მოწყალებად ხელმწიფე იმპერატორის მხრით.

„ეს თავად-აზნაურობა, როგორც ყოველთვის, შემდეგშიაც დაამტკიცებს თავის სიყვარულსა და გულწრფელ ერთგულებას ხელმწიფისა და სამშობლოისადმი.“

თ. დონდუკოვ-კორსაკოვმა გრძნობიერად ჩამოართვა რამდენჯერმე ხელი ბ. მაღალაშვილს და აგრეთვე სხვა თავად-აზნაურთაც, რომელთაგან მრავალა იცნო, ზოგიერთების მამა და ნათესავები მოიგონა, რომლებთან ერთად უმსახურნია.

როგორც მოგზაურობაში აგრეთვე განსაკუთრებით ქალაქში თ. დონდუკოვ-კორსაკოვმა დიდი და საუცხოვო შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე და საზოგადოდ ყველაზე, ვისაც კი შეხვდა, თავის გარეგანის მოპყრობით, თავ-მდაბლობით, ლმობიერებით და მხურვალე გრძნობით. და ყველა დარწმუნებულია, რომ ის შემდეგში თავის საქმეებითა და კავკასიისათვის სიკეთის მოტანით გაამართლებს ამ კეთილს შთაბეჭდილებას.

***

მთავარ-მმართებელმა თ. დონდუკოვ-კორსაკოვმა ტფილისში ჩამოსვლის მეორე დღესვე, დილის 9 საათზე დაიბარა სასახლეში ყველა სამოქალაქო უწყებათა უფროსები, მთავარ-მმართებლის რჩევის წევრნი და საზოგადოთ ყველა სამოქალაქო ჩინოვნიკები მე-V კლასამდინ, გაიცნო ისინი და ზოგიერთებთან იმათ საგამგებო უწყებაზედ ჰქონდა ლაპარაკი.

დღეს, კვირას, პირველ საათზე მთავარ - მმართებელს გამოეცხადება ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურობა.

***

ზეგ, სამშაბათს, 16 მარტს, იქნება მესამე წარმოდგენა „ვეფხის ტყაოსნის“ ცოცხალ სურათებისა აგრეთვე მხატვრის ზიჩის ხელმძღვანელობით. ამ წარმოდგენას ჰმართავს ბატ. ტფ. ღუბერნატორის მეუღლე კნეინა ე. ა. შაჯარინისა და შემოსავალი დანიშნულია ტფილისის ქველ-მოქმედ საზოგადოების სასარგებლოდ.

***

ქუთაისის გაზეთს „შრომაში“ იწერებიან, რომ იქაურ ღარიბ მოწაფეთა შემწე საზოგადოების კომიტეტს ჰქონია ამ დღეებში კრება და ამ კრებაზედ, სხვათა შორის, გარდაუწყვეტიათ, რომ იქაურ სასულიერო სასწავლებლის ღარიბ შაგირდებისათვის დაიქირავონ ბორაზე ერთი ან ორი

---

ეს ქალაქი, ჩვენი ძველი მატიანეს გადმოცემით, ააშენა ქართველთა მამამ—ქართლოსმა (პატრიარქის ნოეს შვილის-შვილის-შვილმა) და ამიტომ მას ეწოდა ქართლი (ქართლოსი). ქართლოსის სამარეს უჩვენებენ ამ მთაზედვე. სამარის ადგილი ძველითძველადგან იყო სალმვთო და წმიდა ადგილი ქართველთათვის.

„ქართლი“ ერქვა ამ ქალაქს იმ დრომდის, მინამ პირველი მეფე ქართველთა ფარნაოზი აქ არ დასდგამდა კერპს—არმაზს (ორომაზდი ანუ ორმუზდი). ამის შემდეგ ქართლს დაერქვა არმაზი და ამ სახელით იწოდებოდა გაოხრებამდე.

ბერძნების, ლათინების გეოგრაფები არმაზს მოიხსენიებენ, როგორც სატახტო ქალაქს საქართველოისას (ივერიისას). სხვათა შორის სტრაბონი მას უწოდებს *Armosica* პლინი—*Normostis*, პტოლომეი—*Armoctica*.

ძ. ქართლს—არმაზს აქვს დიდი მნიშვნელობა ჩვენს საერო, სამოქალაქო ცხოვრებაში თავის სიძველით, პირველობით, და ჩვენს სასულიერო ცხოვრებაშიაც. ქართველობა აქ დაიბადა აქ აღიზარდა, გაძრიელდა და აქედამ გადაესახლა მთელს საქართველოში. აქ აშენდა პირველად ქალაქი და მერმე ამის მიხედვით სხვაგანაც (მცხეთა, უფლის-ციხე და სხვ.). სულიერადაც აქ გაიხსნა — განვითარდა ქართველი: იმან პირველად თაყვანის ცემა აქ დაუწყო ქართლოსის საფლავს; მერე აქ დაიდგა კერპები*); აქვე პირველად გაისმა ხმა ქრისტეს სწავლისა მოციქულთ სწორის, ჩვენის განმანათლებელის ნინოსაგან.

აქ—არმაზში ერთ დიდ ხის ქვეშ პირველად დაუწყო წმ. ნინომ ქადაგება. აქვე აიგო თითქმის პირველი მონასტერი (წმ. ნინოსი), რომელიც არსებობდა საქართველოში მონგოლების შემოსევამდე (XIII საუკ.).

დიაღ, გრძელი მოთხრობაა დამარხული ჩვენი წარსული შესანიშნავი ცხოვრებისა ამ ადგილებში! ჭეშმარიტად გამოუთქვამს ჩვენს ხალხს ამ

---

მამა მამულისა, ცენსორი და ივით-მპყრობელი ტიტოს ცეზარი, შვილი სევასტოსი ტრიბუნად ყოფილი 5-ჯერ, კონსულად 3-ჯერ, მეოთხედ დანიშნული, მეფეს ივერიისას მიტრიდატს მეფის ფარსმანის და თამაზდის შვილს, მეგობარს კეისრისას, რომაელთ ხალხისას, აღვუშენეთ ციხე.“

ეს ქვა ეკუთვნის 75 წ. ქრისტეს აქეთ „იამაზდი,“ ლეონ ზენიერის სიტყვით, ნიშნავს არმაზის მცხოვრებს. ეს ქვა ეხლა დევს თფილისის მუზეუმში. მ. ჯ.

*) კერპი ამაზი ოქროსაგან ჩამოსხმული იყო კაცის მსგავსად და ჩაცმული იყო ოქროსვე ტანისამოსით; მხრები და თვალები იაგუნდით და ზურმუხტით მორთული ჰქონდა; ხელებში ეჭირა ბრწყინვალე ქუდი თავ-დაღმა. ეს იყო უფროსი ღმერთი ქართველთა. არმაზის მარჯვნივ იყო სხვა კერპი—გაცი (გაცი) აგრეთვე კაცის მსგავსი, ოქროსი; მარცხნით კიდევ კერპი—გაიამი—ვერცხლისა. მ. ჯ.

დიდი სახლი, რომელშიაც სამოცამდენ ღარიბი შაგირდი დააყენონ.

***

ამავე გაზეთის სიტყვით, ფოთშიაც გამოჩენილა ერთი ღენ. სკობელევის მიმბაძავი: იქაურ სამხედრო ეკკლესიის მღვდელს—მილოვიდოვს იმპერატორის ტახტზე ასვლის დღეს ისეთი ცხარი და მრისხანე ქადაგება წარმოუთქვამს ნემეცების წინააღმდეგ, რომ მოსამსახურე პირები ყურებ-დაცული გამოვარდნენ ეკკლესიიდამ, რომ მოწამედ არ გამხდარიყვნენო...

## „დროების“ კორრესპონდენცია.

კარდანახი 9 მარტს. მარტმა ვერაფერი ნუგეში მოუტანა სიღნაღის მაზრის მცხოვრებელთ. ცივი ზამთარით შეწუხებული საწყალი გლეხნი მოუთმენლად ელოდნენ გაზაფხულის პირს მაგრამ მარტმა გაუცრუვათ იმედი; საშინელი ქარი იყო, სახლებს ჭერს აძრობდა ალაგ-ალაგ ჯეჯილებიც გაახმო.

ეს კიდევ არაფერი, რომ სხვა ნაირათაც არ შეეწუხებინა ხალხი. ამ თვის ექვსში, შუადღისას, სოფ. ქარდანახში მოხდა უბედური და საცოდავი შემთხვევა: ერთი გლეხის კაცას სახლს მოეკიდა ნაგვიდგან ცეცხლი, ერთ მინუტში ისე გაძლიერდა, რომ არას-გზით გაქრობა არ შეიძლებოდა, ანთებულ მუგუზრებს შორს ისვრიდა ქარი ისე, რომ მეორე მხარესაც გაუჩნდა ცეცხლი და ორივე მხრიდან მოზდევდა საწყალი გლეხების სახლებს.

ბევრი ეცადა გაქრობას ხალხი, მარჯვეთ იყვნენ როგორათაც გლეხები, აგრეთვე თავადიშვილებიც, მაგრამ ვერაფერი ვერა უშველეს ქარის გამო. რაც კი გამოჰქონდათ სახლებიდგან ეზოებში იწოდა.

ორ საათში გადიწვა მთელი უბანი ორმოც-და-შვიდი სახლი თავის მოწყობილობით, მარნით, საქათმით და სხვ. ორმოც და-შვიდი კომლი იმ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ, რომ წყლის დასალევი ჭურჭელი აღარა აქვთ; ამასთანავე რაც კი სასახლეში ჰყვანდათ ფრინველი, პირუტყვი—სულ დაიწვა.

წარმოიდგინეთ ამ უბედურ მდგომარეობაში საწყალი გლეხნი.

კაცი, რომელიც დღიური შრომით ათ-თხუთმეტ წელიწადში ძლივ იკეთებს სახლს და სხვა მოწყობილებას, იძენს ცოტაოდენს საზრდოს, ამისთანა უბედურის შემთხვევით სუყველაფრით ორ საათში დაცარიელდება, ჰხედამს თავის ცოლ-შვილს გულ-გახეთქილს, უსახლოს ამ სიცივეში და მშიერს,—მერე როდის? გაზაფხულის პირზე, როცა გლეხი წელში იშლება, გული უმხიარულდება და ღმერთს მადლობასა სწირავს, რომ ცოლ-შვილი ცივ ზამთარს გადაარჩუნა!

ამისთანა მდგომარეობაში კაცს თუ შემწეობა არ მისცეს, დაკარგავს სასოებას და მოუძლურდება სულით.

კაცთ მოყვარეობა ვალათ გვდებს ჩვენ ყველას დახმარებას ამ საცოდავი ხალხისა, რომ გაჭირების გამო არ დაეცნენ ზნეობით.

მოვიგონოთ ბათუმელები—როგორი მეცადინეობა იყო იმათთვის,—ამ საცოდავების სასოების და შეძლების მიპოვება იმავე წყაროებით შეიძლება... იმედი მაქვს ვინც-კი ნათლად წარმოიდგენს ამ უბედურების გაჭირებას, ყველა ეცდება შემწეობას.

პოლიციამ შეიტყო თუ არა ჩამოვიდნენ მაზრის უფროსი იმის თანაშემწე და ბევრი ნუგეში მისცეს გაჭირებულებს.

დ. ჩ.

## წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო! დიდის სიამოვნებით წავიკითხე მე თქვენის პატივცემულის გაზეთის მე-50 №-ში სტატია „**სომეხთ ქალების ქველ-მოქმედი საზოგადოება ტფილისში**“, რომლის ავტორს არის ასოს ი. წ. მოწერით დაუმალავს თავის სახელი.

ღრმათ თანავუგრძნობ იმ აზრებს, რომელიც ავტორს გამოუთქვამს და იმ მწუხარებას, რომელსაც ის აცხადებს იმის შესახებ, რომ ამ ახალს საზოგადოებაში მდიდართ წარმომადგენელნი თითქმის სრულიად არ იღებენ მონაწილეობას; ამასთანავე არ შემიძლიან ავტორთან ერთად არ გავიმეორო ის სამართლიანი მრისხანება, რომელიც აღძრა ყველა ჩვენში, ვისთვისაც ძვირფასია მახლობლისა და მოძმის კეთილ-დღეობა, იმ გარემოებამ, რომ ჩვენი ფულიანი ხალხი ასე გულ-გრილად ეპყრობა ყოველ ამ გვარ საქმეებს. მაგრამ უნდა ვსთქვა, რომ ხსენებულ შენიშვნის ავტორი, რომელიც იმ თემის ხალხს არ ეკუთვნის, რომელსაც მე მაქვს პატივი ვეკუთვნო, ამ შემთხვევაში ჩემზე უფრო ბედნიერია: იმას არ მოელის განკიცხვა, რომელსაც ვპოვებთ ჩვენ არა თუ მარტო მდიდრებისაგან, ფულიანებისაგან, არამედ თვით შეძლო ხალხისაგან, რომელნიც, ალბად, ოქროს პატივისცემითა და შიშით, ამ მდიდრების მხარს იჭერენ, თუმცა ამით ხშირად თავის საკუთარ ინტერესისათვის არა-მცირედი ვნება მოაქვთ.

ესეთია ჩვენი ხალხის ბედი მთელს იმის ისტორიულ ცხოვრების განმავალობაში: თუ ოდესმე უცხოვრია იმას,—მე ვამბობ, რასაკვირველია, ნივთიერ კეთილ-დღეობით ცხოვრებაზე კი არა, არამედ უფრო არსებითს, გონებითს ცხოვრებაზე—ვამბობ, თუ ჩვენს ხალხს ოდესმე უცხოვრია, ამისათვის ის უნდა მადლობდეს მცირედ ნაწილს წვრიმალ მშრომელთ, რომელნიც თხუნველასავით, ზრუნავენ და მუშაობენ ახალ მოზარდ თაობის აღსაზრდელად, გონების გასახსნელად.

არ შემიძლია არა აღვნიშნო აქვე ის ჩინებული გრძნობა ძმურის ურთი-ერთობისა, რომელიც მრავალ-პატივცემულ ავტორის სტატიაში სჩანს. ვაგიტყდებით, რომ ისტორიითა და სამშობლოით თანამოძმეთაგან იშვიათად გვინახავს ჩვენ ამისთანა გულ-წრფელი და სიყვარულით აღსავსე გრძნობის გამოცხადება, რომლითაც ის მიმართავს ჩვენს ხალხს იმ შვენიერის მიზნით გახსნილს საზოგადოების გამო.

ბევრის სომხის სახელობით გიცხადებთ პირუთნელსა და გულ-წრფელ სიხარულს ჩვენ მშვენიერ სქესის წარმომადგენელთაგან დაწყებულ საქმის თანაგრძნობისათვის და ამასთანავე, ავტორთან ერთად, ვინატროთ, რომ ეს მაგალითი მიუბაძავად არ დარჩეს თქვენის აგრეთვე არა-ნაკლებ ღირსეულ ქალებისთვისაც; მაგრამ ნებას ვაძლევ ჩემ თავს, ავტორისაგან ეჭვით ხმარებული სიტყვა-იქნება შევცვალო მეორე უფრო საიმედო სიტყვით! ეჭვი არა გვაქვს, რადგან ვიცით არა-ერთი მაგალითი, რომ ქართველი ქალები ამ გვარ ქველ-მოქმედ საქმეებში თავის ენერგიას არასოდეს არ ზოგვენ.

ქართველთ მოყვარე სომეხი ს. მ.

12 მარტს 1882 წ.

ტფილისი

## ტფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირამანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან

---

ერთ დროს დიდებულ, ეხლა დანგრეულ დაქცეულ არმაზზე:

„არმაზის ციხე-ქალაქო, მკელადგან გაოხრებულო,
ხალხითა სავსევ, ძლიერო, ყოვლთაგან დიდად ქებულო,
შენ ვიღამ გნახოს ნაშენი, მტერთა მახვილით მოსილო!“ *)

მარცხენა მთა—სარკინეთის მთა (3,593 ფუტი) არის ნაწყვეტი დიდი კავკასიონისა. სარკინეთის მთას (ეხლა სხალ-ტბის ქედი) — აქვს კავშირი ლორწომის მთებთანაც.

ერთ დროს ის ყოფილა აგრეთვე წლევის ქვერნაქის (საცა შფლის-ციხეა) მთებთან შეერთებული; მაგრამ ეს მთები მდ. მტკვარს რამდენიმე საჟენით დაუშორებია ერთმანერთისაგან. არმაზისა და ამ მთებზე და მათ კალთებზე პირველად მოიდგა ქართველმა ფეხი; პირველად აქ გაუმაგრდა მტერს.

სარკინეთის აღმოსავლეთ კალთაზე ქართლოსის შვილმა მცხეთისმა ააშენა მაგარი ციხე-ქალაქი მცხეთა და დასავლეთ კალთაზე, ანუ უკეთ, კლდიან კალთაში ააშენა საკვირველი და დიდად შესანიშნავი მიწის-ქვეშეთი ქალაქი (დიდი შენობა კლდეში გაკეთებული; აქ არის ბაზარი, სახლები, სასახლე, ეკკლესია და მოედანი. ეხლაც შეადგენს საკვირველებას).

ტყუილად კი არა ჰქვიან ამ მთებს „სარკინეთი“. ისე იბრძოდნენ თავისუფლებისათვის და თავის ეროვნობის დასამკვიდრებლად—დასაცველად ისე მაგრად იდგნენ, როგორც რკინა, რომლის მადანი იყო ამ მთებში, საცა იპოებოდა რკინის გარდა ლაჟვარდი (ძვირფასი ქვა).

ერთმა ცამეტ მამათაგანმა—წმ. შიომ კარგად იცოდა ამ მთების მნიშვნელობა, რომ თავის უდაბნომონასტერისათვის ამოირჩია. არმაზი თითქმის პირ-და-პირ უყურებს შიომღვიმეს.

ეს მთებია აგრეთვე მოწმათ, როგორც ზოგიერთი ისტორიკოსები ამტკიცებენ, ალექსანდრე მაკედონელის შემოსვლისა საქართველოში. აქვე იყო საყვარელი საბანაკო ადგილი რომის ჯარებისა. აქ იმალებოდნენ აგრეთვე ოსების და ლეკების ყაჩაღები. ამ უკანასკნელებმა ირტოზის გორიდგან მოგვტაცეს ნიჭიერი პოეტი დ. გურამიშვილი, რომელიც თავის მოტაცებას ასე აგვიწერს:

„..მუნ (ღამის ყანასა) მოყვრის მუშას თავს ვადექ, მკას ვუპირებდით ყანასა
ჩვენ თურმე გვნახეს, მოგვმართეს ლეკთა ირტოზის გორითა...
შემიპყრეს, წამომიყვანეს ხელ-ფეხს მომიდვეს გნისა..“

მოსე ჯანაშვილი.

(გაგრძელება)

*) უკანასკნელ ხანებში არმაზის მიდამონი იყო ლეკის ყაჩაღების სამალავი, რომელნიც ხოცავდნენ მგზავრებს. არმაზის და ნაქულბაქევის ახლოს (აღმოსავლეთის მხრით) არის აგრეთვე ნანგრევები ჯვარანებულის სოფლისა კარსნისა, რომელშიაც ეხლა არც ერთი კომლი მცხოვრები არ დარჩომილა.

მ. ჯ.

ავათმყოფობისა; კელდიში — სიფილის-ტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაზაევი — მარლვების ავათმყოფობისა.

პარასკევს. მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი — შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში — სიფილის-ტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაზაევი — მარლვების სისუსტის ავათმყოფობისა.

შაბათს. ლისიცევი — შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში — სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაზაევი — მარლ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

# განცხადებანი

## დასყიდვა აღდგომამდის

### ინგლისურ მაღაზიაში.

ქუდები 1 მან., ფუფაიკები 2 მ. 50-დამ. შარვლები 4 მან. პიჯაკები 8 მან., მთელი კოსტიუმი 13—19 მან-მდი; დრაპი, მაუდი, ტრიკო, ჩოთქები და ალბომები ნახევარ ფასად; ხიზალალა 1 ხარისხისა — 70 კ. და ჟილკა — 1მ. 20 კ. გირვ. ტანისამოსის ჩოთქები 30 კაპ. კრესლოები — ტახტები 10, 14 და 18 მან. — კოლმანის კრახმალი 17 კაპ. გირვ., ლეპიოშკები 2 კ., თეთრეულის გამოსარეცხი პარაშოკი — 5 კაპ. პაკეთი. ამ დღეებში მივიღებთ ყველს — ჩესტრ 60 კ. გირვანქა. **ახალ - ახალი** - წმინდა და ვერცხლის სანთლები — 35 და 42 კ. ინგლის. გირვ., ინგლის. და ფრანცუზ. რკინის ტახტები 10% იაფად ვინემ სხვაგან, ე. ი. საბავშვო 4 მან. და სადიდო 14 მანეთიდამ. (15—8)

**ლონდონის მაღაზია** კომერციულ-ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ზურზლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეჩივინი ზეთისა) და სხვ. საავენტო მაკინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატკერის და კამფ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭავანას სიგარები. (100—89)

## სამოუ განცხადება.

ვისაც სურს ნამდვილი კახური ბუნებითი, არომატიული ღვინოებით დაატკბოს თვისი გემოვნება, ინებოს და მიირთვას ღვინოები „ალაზნის“ სარდაფისა, სოლოლაკის ქუჩაზედ, დეკანოზის ორბელის სახლებში № 14, თავ. ირაკლი გრუზინსკის სახლის პირ-და-პირ. (6—6)

# ისყიდება

15,000 თეფში 1 ხარისხისა, თითო 15 კაპ.

12,000 ბროლის სტაქანი თითო 25 კაპ.

10,000 ბაკალი და სტაქანი თითო 10 კაპ.

10,000 ფოდნოსი და გასალები თითო 15 კაპ.

10,000 ნევსი, 8 კ. 40-მდინ ასი.

10,000 პენალი თავის პრიბორით თითო 5 კაპ.

5,000 ბოთლი პორტვეინისა და ხერესის თითო 1 მან.

2,000 არშინი კლიონკა 60 კაპ. 2 მან. არშინი.

2,000 დიუჟინი ყარანდაში და ყალმის ხელი 8 კ. 50 კაპ. დიუჟ.

2,000 გირვანქა ინდოეთის ბრინჯი 7, 8, 10 კაპ. გირვ.

1,000 გირვ. თვალთ-მაქცი ლეპიოშკა 50 კაპ. გირვ.

600 ინგლისის რევოლვერი 4 მან. 34-მდი.

300 ინგლისის თოფი თითო 20—100 მან.

დრაპი, მაუდი, ტრიკო, ალბომები, საზამთრო პალტოები, ქუდები, შარვლები და ტანისამოსი ნახევარ ფასად. **ინგლისის მაღაზიაში.** (40—36)

## იურიდიული კაბინეტი

### იურიდიული ბიბლიოტეკით

დაარსდა გოლოვინის პროსპექტზედ არხიტექტორის ბილოვის სახლში კელბერის პირ-და-პირ.

მთხოვნელს მიიღებენ დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის 3 საათამდის და 7-დამ საღამოს 10 საათამდი.

ამ კაბინეტის პირობა და ტაქსა გამოცხადებულია და ცალკე დარიგდება. (30—5)

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე **ისყიდება:** პარ-ესინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—75)

ნაფიცი ვექილი

ალექსანდრე მირიანის-ძე

# ჭყონია

მიიღებს ყველა ხასამართლოებში საწარმოებლად სამოქალაქო, სამიჯნაო და სისხლის სამართლის საქმეებს.

სადგომი აქვს: ქუთაისში, სილაზე, მ. ჭყონიას სახლში. (5—5)

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება თფილისის წიგნის მაღაზიებში

**იგავ - არაკნი**

კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუიდგან გალექსილი **თ. რ. ერისთვისა.**

## ქალაქის გამგეობისაგან

### თფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ქალაქის გამგეობის სადგომში 19 მარტს შუადღეზე იქნება ვაჭრობა (ტორგი) დურგლის მუშაობაზედ, რომელიც დასჭირდება საქალაქო სახლს.

დაწვრილებით პირობის შეტყობა შეიძლება ქალაქის გამგეობაში მუდამ დღე დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდინ. (3—2)

## ინგლისის მაღაზიაში

არწრუნის გალლერეიაში

(*Maison de confiance*)

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | ჩაის ყველგან |
|---|---|
| — — 1 მ. 10 კაპ. | — 1 მ. 40 კაპ. |
| — — 1 „ 20 „ | — 1 „ 60 კაპ. |
| — — 1 „ 40 „ | — 1 „ 90 კაპ. |
| — — 1 „ 60 „ | — 2 „ 20 კაპ. |
| — — 1 „ 80 „ | — 2 „ 50 კაპ. |
| საუკეთესო 2 მანეთ. | — 3 მანეთ. |

ჩაის წონა—უქაღალდოთ, სხვაგან კი ქაღალდით. (100—90)

**თფილისის თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი,** წესდების § 82 მუხლის ძალით, მოიწვევს ამ ბანკის წევრთა ჩვეულებრივ საზოგადო კრებისათვის რომელიც იქნება აპრილის 29-ს ამა 1882 წელსა დილის 10 საათზე ბანკის სადგომში, სოლოლაკის ქუჩაზედ, თ. ირაკლი გრუზინსკის სახლში.

## განსაილველი საგნები:

1). განხილვა გავლილ 1881 წლის ბანკის შემოსავალ-გასავლისა.

2). განსაზღვრა-თუ საზოგადო საჭიროებისათვის დანიშნული ფული ბანკის შემოსავლიდამ, რადა რა საგნებზე უნდა იქმნეს მოხმარებული.

3). განხილვა და დამტკიცება 1882 წელსა ბანკის გამგეობისათვის ხარჯთ-აღრიცხვისა.

4). მოხსენება ბანკის გამგეობისა იმის შესახებ—თუ რა შემწეობა შეუძლიან ბანკს აღმოუჩინოს გლეხებსა ადგილ-მამულის საკუთრებად შეძენაში.

5). აღმორჩევა ბანკის გამგეობის თავმჯდომარისა ახლანდელის თავმჯდომარის თ. ჭავჭავაძის მაგიერად. რომელიც რიგით უნდა გამოვიდეს გამგეობიდამ.

6). აღმორჩევა ზედამხედველ კომიტეტისა და დამფასებელ კამისიის წევრთა და ამ უკანასკნელთ კანდიდატებისა. (9—1)

# ისყიდება

25% ნაკლებ მინამ სხვა ადგი... ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, მ... რაბა, ბრინჯი, ზურზლები, სტაქნე... ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდო... ბი, ფოდნოსები, პირის-საბანი, კლი... ები, სამურველი, ტანისამოსის საკიდ... კოვზები, დანები, კალმები, ქაღალდ... კანვერტები, რვეულები, კარანდაშე... თოფები, რევოლვერები, კრავები, პლა... ჩები, ვანები, ქამრები, საყელურები, კლი... ონკა, უნაგირები, ლაგმები, უთოები, ტახტები, პირისახოცი, ცხვირის-სახოცი, ჩულქები, ტუალეტის საპონი, დუხები, შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ღვი... ნო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი და... ათასი სხვ. რამეები,—**ინგლისის მა... ღაზიაში.** იქვე ჩაი ვაჭართათვის ნახ... დათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხის 2 მ.—წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან., ჩოკ-ბორ (*choke bore*) *George Dau*-ს ფაბრიკიდამ—120 მან. რევოლვერები 4—34 მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალის უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის დანები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფებისა და რევოლვერებისა თფილისში. (100—99)

გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (მ... ლის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნი... სიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემო... ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოებ... გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.

ხატაური — — — 10 კ.

## ტაქსია

ავკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 1 მარტიდამ 1 აპრილამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილი...

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5½ |
| მეორის „ | —1 გირ. | 3½ |
| მესამის „ | —1 გირ. | — |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 6 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |

ჯვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 7 კ. |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 5 კ. |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4½ |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 11 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 9 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 16 კ. |
| ცხვრის ხორცი | — 1 გირ. | 13 კ. |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | — კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | — კ. |

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 13 Марта 1882 г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.